**სსიპ კოლეჯი „ოპიზარი“**

| სამუშაო აღწერილობა | |
|---|---|
| 1. ზოგადი ინფორმაცია | |
| **სახელი და გვარი** | |
| **პოზიციის დასახელება** | შრომის , სახანძრო უსაფრთხოებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სპეციალისტი |
| **სტრუქტურული ერთეული/ განყოფილება** | ადმინისტრაცია |
| **ანგარიშვალდებულება უშუალო ხელმძღვანელთან** | დირექტორი |
| **დაქვემდებარებული პერსონალი** | არ ყავს |
| 2. ფუნქცია- მოვალეობები | |

- კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში მონაწილეობა.
- კოლეჯში შრომის პირობების ინსპექტირება;
- კოლეჯში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სისტემის შემუშავება/დანერგვა/ შესრულების კონტროლი;
- კოლეჯში შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით წინადადებების ინიცირება და დირექციასთან წარდგენა;
- შრომის უსაფრთხოებასთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მუდმივი ინფორმირებულობა და კოლეჯის მენეჯმენტის დროული ინფორმირება;
- ქვეყანაში არსებული სტანდარტის შესაბამისი სისტემის დანერგვა/კონტროლი და მასში ცვლილების შეტანის შემთხვევაში დროული რეაგირება და შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველყოფა;
- კოლეჯის თანამშრომლების კონსულტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე;
- საშიშროებების განსაზღვრა და შრომის უსაფრთხოების რისკების შეფასება კოლეჯის საქმიანობის უსაფრთხოდ განხორციელების მიზნით;
- შრომის უსაფრთხოების ტრენინგებისა და ინსტრუქტაჟების რეგულარულად ჩატარება და პერსონალის ცოდნის შემოწმება, ამ მიზნით ტესტირების, სიმულაციების და სხვა სახის შემოწმებების წარმოება;
- აუცილებლობის შემთხვევაში გარე ტრენინგების საჭიროების ინიცირება;
- რისკების პრევენციისთვის საჭირო ღონისძიებების გატარების უზრუნველყოფა;
- შიდა აუდიტის პერიოდული ჩატარების ორგანიზება;
- კოლეჯში შრომის უსაფრთხოების დაცვასთან დაკავშირებული ინსტრუქციების შემუშავება და ასევე სხვადასხვა სახის სამუშაოებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს თამაშრომლის უსაფრთხოებაზე ტექნიკურ პერსონალთან კოორდინაციაში;
- პირადი დამცავი აღჭურვილობით უზრუნველყოფა, და პერიოდული კონტროლი ვარგისიანობაზე;

- კოლეჯში ახალი მიღებული თანამშრომლის პირველადი ინსტრუქტაჟით უზრუნველყოფა;
- პირველადი დახმარების ყუთების განთავსება და მუდმივი კონტროლი საჭირო მედიკამენტებზე და პირველადი დახმარების საშუალებებზე; ინსტრუქციების შემუშავება საწარმო ტრავმატიზმისა და პროფესიული დაავადებებთან დაკავშირებით;
- დირექციის ინფორმირება უბედური შემთხვევების, ინციდენტების და საწარმო ტრავმატიზმის შესახებ. მათი აღრიცხვა, ანგარიში, გამომწვევი მიზეზების შესწავლა/მოკვლევა და გამოსასწორებელი ღონისძიებების ჩატარება;
- სახანძრო ინსტრუქციების შემუშავება და იმიტაციების ჩატარება ყოველწლიურად;
- შრომის უსაფრთხოების დოკუმენტაციის საქმისწარმოება.
- შრომის უსაფრთხოების არ ყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს მომსახურების ხელშეკრულებით აყვანილი პირი.

## 3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

| | |
|---|---|
| **განათლება** | ➢ პროფესიული განათლება<br>➢ შრომის უსაფრთხოების კურსის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი; |
| **სამუშაო გამოცდილება** | ➢ სამუშაო გამოცდილება არანაკლებ ერთი წელი (სასურველია შრომის უსაფრთხოების სფეროში); |
| **კომპეტენციები** | ➢ შესაბამისის კანონმდებლობის ცოდნა; |
| **უნარები** | ➢ გუნდური მუშაობის უნარი<br>➢ შრომისმოყვარეობა და თვითგანვითარებაზე ორიენტირებულობა |

## 4.სამუშაოს შესასრულებლად რეკომენდირებული კომპიუტერული პროგრამები და ენების ცოდნის დონე.

| | |
|---|---|
| **კომპიუტერული პროგრამები** | ➢ საოფისე პროგრამების ცოდნა. |
| **ენები** | ➢ სახელმწიფო ენის ცოდნა |

## 5.დამატებით ინფორმაცია

| | |
|---|---|
| **სამუშაოს ადგილმდებარეობა** | სსიპ კოლეჯი ,,ოპიზარი“ ქ. ახალციხე, შოთა რუსთაველის ქ#111 |
| **სამუშაო პირობები** | სამუშაო კვირა ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.<br><br>სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო 09:00 საათიდან -18:00 საათამდე,<br><br>დასვენების დღეები საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეები.<br><br>ყოველდღიური შესვენების დრო: 13:00-14:00სთ;. |
| **სამუშაოს შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობა და სხვა სახის ბენეფიტები** | ➢ სამუშაო მაგიდა<br>➢ პერსონალური კომპიუტერი;<br>➢ საკანცელარიო საშუალებები |

| | | |
|---|---|---|
| | ➢ სხვა ტექნიკური საშუალებები (პრინტერი,) | |
| **დასაქმებულის ხელმოწერა** | | თარიღი: |
| **დამსაქმებლის ხელმოწერა** | | თარიღი: |